ცნობის ფურცელი

№ 1769 ყოველ-დღიური გამოცემა 1896—1902 ორშაბათი, 1 აპრილი № 1769

გაზეთი ღირს: წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ., ფასი განცხადებისა. ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კაპ.
ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე“-„ცნობის ფურც.“ რედაქციის კონტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“. ტელეფონი № 372.

შტაბს-კაპიტანი თავ. დავით ყაფლანის ძე ვაჩნაძე, კნეინა მელანია ყაფლანის ასული ხერხეულიძისა და თავ. ლევან და ვლადიმერ ყაფლანის ძენი ვაჩნაძენი აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებასა ქ. ტფილისში 30 მარტს, საღამოს 10 საათზე, მძიმე ავადმყოფობის შემდეგ, პირველი მეუღლისა თვისისა, დანარჩენნი თავიანთ რძლისა **კნეინა**

მარიამ ივანეს ასულის ვაჩნაძისას

(გერასიმოვის ასულისა)

პანაშვიდები იქნება ყოველ დღე საღამოს 7 საათზე, ჰავჭავაძის ქუჩაზე, პერვასის სახლში, № 12 დასაფლავება ცალკე იქმნება გამოცხადებული. (1—1)

ყოველ დღიური გაზეთი
„ცნობის-ფურცელი“
სურათებიანი დამატებით

1-ლ აპრილიდან წლის დამლევამდე ტფილისში დარიგებით და ქალაქ გარეთ გაგზავნით (რუსეთის იმპერიაში) ღირს **5** მან.

ადრესი: Тифлисъ, редакція «Цнобисъ-Пурцели» (Большая Ванкская ул., домъ Мартирузова).

საფაბრიკო საწყობი
ქაღალდის ფაბრიკის სააქციონერო საზოგადოებისა
გ. ი. პალლიზენ

რუჟეის ქაღალდის ფაბრიკის ამხანაგობისა და კოშელევების ქაღალდის ფაბრიკებისა.
ტფილისი, გოლოვ. პროსპ. მანთაშევის სახლში. **ბაქო**, მილიუტინის ქუჩა, გრანდ-ოტელის ქვემოდ.

ქაღალდი ყოველ-გვარი: ფოსტის, საწერი, წიგნის, ალბომის, გაზეთის, საბეჭდი და მუნდშტუკის, ბოთლის გასახვევი და სხვა; აგრეთვე წიგნები, კონვერტები, საწერი-საკანცელარიო საგნები. **ტელეფონი № 679.** (0—20)

ტფილისის
კერძო სამკურნალო
მიხეილ გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა

დ ი ლ ი თ:

ა. ი. ჭიჭინაძე—კბილის სნეულებანი 8—10 საათამდე.
მ. ა. გედევანიშვილი—ნერვების 9—10 საათამდე. ხუთშაბათს და შაბათს გარდა.
ე. გ. ფეოდოროვი—შინაგანი და საბავშო 9—10 საათამდე.
გ. გ. მაღალაშვილი—შინაგანი 10—11 საათამდე, სამშაბათობით და ხუთშაბათობით.
ვ. დ. ლამბაშიძე—შინაგანი 10—11 საათამდე. სამშაბათობით და ხუთშაბათობით 1—2 საათ.
ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—12 საათამდე.
ნ. ტ. მულინი—ყურისა, ყელის და ცხვირის 10—11 საათამდე.
ქ. მ. ელიოზიშვილი—შინაგანი და ბავშვების 11—12 საათამდე.
ა. გ. ბარსუქოვი—დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 12—1 საათამდე.
დ. ა. გედევანიშვილი—შინაგანი, ნერვების და წამლობა ელექტრონით 12—1 საათ.
გ. მ. ამბარდანოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი 1—2 საათამდე.
სტ. ალ. ვოინო – ხირურგია ორშაბათობით, ოთხშაბათობით და შაბათობით. 1—2 საათამდე.

ს ა ღ ა მ ო თ ი:

ი. ნ. თუმანიშვილი – დედათა სნეულებანი 5—6 საათამდე.
ა. გ. მაღალაშვილი—შინაგანი ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 საათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლ.)
გ. ს. დავიდოვი—შინაგანი და ბავშვების 7—9 საათამდე.
გ. მაღალაშვილი—კვირაობით, 10—12 საათამდე.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები და კრაოტები მორიგებით. ერთი კრაოტი ღარიბთათვის უფასოა.

ადრესი: კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21. (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).
ტელეფონი № 274 (წლ.)

ე ქ ი მ ი
ალექსანდრე გიორგის ძე
მაღალაშვილი

იღებს ყოველ-დღე შინაგანისა და საბავშო სნეულებით ავადმყოფებს დილით 12—2 საათამდე და საღამოთი 4—5-მდე. მიიღებს აგრეთვე საქმოს: ქიმიურ, მიკროსკოპიულ და ბაქტერიოლოგიურ გამოკვლევათა. ოქრო-მჭედლების ქუჩა, № 40, თულაევის სახლი.

ე ქ ი მ ი
ვახტანგ ლამბაშიძე

შინაგანის და საბავშო სნეულებით ავადმყოფებს იღებს დილის 9—10-მდე და საღამოს 5—7 საათამდე. რეუტის ქუჩა № 24
ტელეფონი № 642.

წლიური ჩვეულებრივი საზოგადო კრება ქუთაისის გუბერნიის მეაბრეშუმეთა პირველ ამხანაგობისა დანიშნულია 6 აპრილს, შაბათს, დილის ათ საათზე ს. კუხს, ამხანაგობის სამმართველოში. საგნები კრებისა: 1) 1900 და 1901 წლის ანგარიშების დამტკიცება; 2) გამგეობისა და სარევიზიო კომისიის წევრთა არჩევა სამინისტროსაგან დამტკიცებულის წესდების თანახმად; 3) 1902 წლის ხარჯთაღრიცხვის დამტკიცება; 4) ამხანაგობის მმართველის მიერ წარმოდგენილის მოსაზრების განხილვა, ორის წლით, საცდელად, წარმომადგენელთა საზოგადო კრების შემოღების შესახებ; 5) გამგეობისადმი მინდობა ამხანაგობის აღებ—მიცემობისათვის ფულის სესხებისა და 6) ამხანაგობათა კავშირის წესდების შემუშავების და დასამტკიცებლად წარდგენის მინდობა გამგეობისადმი სხვა ამხანაგობათა წარმომადგენლებთან შეთანხმებით.

ამხანაგობის მმართველი **ნესტორ წერეთელი.** (ნ. 10—5)

ქ. ბ ა თ უ მ შ ი
იყიდება გაზეთი **„ცნობის ფურცელი“**
სპ. ქელიძის წიგნის მაღაზიაში, შერემეტიევის ქუჩაზე, ნურიის ბაზარში, სასწორის პირდაპირ. (0—19)

„ჩვენისთანა ბედნიერი განა არის სადმე ერი?“

როდესაც პატარა, უმნიშვნელო, დაბეჩავებული ადამიანი წარჩინებულ საზოგადოებაში თავს ამოჰყოფს, ძლიერ უხერხულობას და შევიწროებას ჰგრძნობს. სულ იმის ფიქრსა და დარდშია, სხვებისაგან არ გავერჩიო, სხვებს არ ჩამოუვარდე, არც მიხვრა-მოხვრაში, არც ზრდილობიან ლაპარაკში, არც გონება-განვითარებაში. ყოველ ღონისძიებას ხმარობს, როგორმე არ დაანახვოს აქა-იქ დაკერებული და, ცოტა არ იყოს, გახუნებული ტანთ-საცმელი, საცოდავად გაცრეცილი, მოუვლელობისაგან, ქუსლ ჩაგრეხილი წაღები. სცდილობს ღირსეულად და თავმომწონედ დაიჭიროს თავი, რათა არავის არ ამცნოს, რომ, შინაურობაში, თავის უბადრუკ კუთხეში, ხშირად ბევრი მწუხარება და ტანჯვა გამოუვლია, მწყურვალ-მშიერიც ყოფილა, შეგინებული და მიბეგვილიც. პატარა ადამიანი, წარჩინებულ ბრწყინვალე საზოგადოებაში ჩავარდნილი, ყველა ამას გულმოდგინედ ჰმალავს და ჰფარავს, ეჭვი არავის შეეპაროს, მეც სხვებსავით ადამიანი ვარ და საზოგადოებაშიაც ადგილი მაქვს.

მაგრამ, წარმოიდგინეთ, ამ პატარა ადამიანის შეწუხება, აღელვება და მწუხარება: უეცრად, მისთვის მოულოდნელად, დაბარბაცდება, ფეხი უსხლტება სანთლით გაკრიალებულ ბრწყინვალე იატაკზე და, სასირცხვილოდ, საზოგადოების წინ გაიშლართება. ამ წაქცევის დროს უბედური პატარა ადამიანი თავის სიღარიბეს, სივაგლახეს აჩენს: აფრიალებული სერთუქის კალთები ოდნავ დაკერებულს შალვარს ამხელს. წაღებიდანაც მოულოდნელად დიდი შავი თითი გამოჰყოფს თავს. პატარა კაცი შერცხვენილია, შეურაცხყოფილი, მიუხედავად ამისა, ამაყურად დგება და წარჩინებულ საზოგადოებას ისე აჩვენებს თავს, ვითომ აქ არფერიო, არა მოხდა-რა: არც შალვარი აქვს დაფლეთილი, არც წაღა გარღვეული, არც შუბლი დალურჯებული. წარჩინებული საზოგადოება, ქალი და კაცი, ლამაზად გამოწყობილი, გამაძღარი და კმაყოფილი, გაკვირვებით შეჰყურებს მათში გარეულ პატარა კაცუნას, რომლის საცოდაობის მოწამენი ყველა ესენი იყვნენ. პატარა შელახული კაცი კი, ასე უსამართლოდ შერცხვენილი და შელახული, ჩუმად, ქურდულად, უკან-უკან იწევს, კარებამდე აღწევს და შურდულივით გარედ გავარდება. „ეს რა რისხვა და მიქარვა მომივიდა! თქვენი ჭირიმეთ, ჩემთვის ვეგდე. მართალია, კუჭი მაძღარი არა მქონდა, გვერდებიც დალურჯებული მქონდა, მართალია, კაცად არავინ მაგდებდა, ხოლო საჯაროდ ამგვარი შერცხვენა კი მაინც მეტის-მეტია“! ფიქრობდა საწყალი, დაბეჩავებული პატარა კაცი. ნაღველი და სევდა მის პატარა გულს ავსებდა და თვალებიდამაც ობლობის და დამცირების ცხარე ცრემლები სცვივდებოდნენ...

მკითხველი გაკვირდება, რისთვის ჩამოვაგდეთ ლაპარაკი ამ პატარა კაცის უბედურებაზე და სასაცილო შემთხვევაზე. ხოლო ყველა ეს, რაცა ვსთქვით, უნებლიეთ წარმოვსთქვით, რადგან წუხელის ქართულ თეატრში ჩვენ, ყველა იქ მყოფთ, ამ პატარა დაბეჩავებულ კაცის ამბავი მოგვივიდა.

ქართული კონცერტი იყო. ამ კონცერტზე განვიზრახეთ უცხოელ სტუმრების, ამერიკელების მოწვევა, რომელნიც ამ დღეებში ეწვივნენ ჩვენს ქვეყანას. ამერიკელები, როგორც ცნობის-მოყვარე ხალხი, მოვიდნენ ქართულ კონცერტზე. ალბათ, გუნებაში ჰფიქრობდნენ, ვნახოთ რა განსხვავებაა ზულუსების, გოტენტოტების და ქართველების სიმღერის შუაო. მოვიდნენ ამერიკელები ჩვენს უბადრუკ დარბაზში... და ჩვენ... ჩვენ იმ პატარა კაცის საქმე დაგვემართა. დასაწყისში, იმ კაცისა არ იყოს, კარგად გვეჭირა თავი, გულმაგრად ვიყავით. სასიამოვნო იყო, განათლებული ამერიკელების გვერდით ჯდომა. ჩვენს თვალში თითქოს გავიზარდენით, თითქოს ღირსებაც მოგვემატა და შინაური ჭირ-ვარამიც დროებით გადაგვავიწყდა. მერე... მერე სიმღერა, ე. ი. ხრინწიანის ხმებით კნავილი და ბღავილი რომ დაიწყეს სცენაზე, როგორღაც შევკრთით, თავ-ზარი დაგვეცა. შეგვრცხვა, თავში გავიტარეთ, სტუმრები რას იტყვიან, რას იფიქრებენ... სტუმრები კი, როგორც შეეფერებათ კარგად გაწვრთნილ და გაზრდილ ადამიანებს, ჩუმად და ხმა-ამოუღებლივ ისმენდნენ „ქართულ სიმღერებს“. მერე... როცა კნავილს და ბღავილს მოუხშირეს, ჩვენ ყველანი აღვშფოთდით, შევწუხდით, ნელ-ნელა კარებისაკენ უქციეთ ზურგი და ჩუმად, ფარულად, ზნეობრივად გაწკეპლილებმა, თავს ვუშველეთ... ღმერთო, ღმერთო, რას იფიქრებდნენ განათლებული, წარჩინებული ამირიკელები! ამგვარი სირცხვილი რად გვაჭამეს. მშვენიერი, ჰარმონიით სავსე, ქართული ხმები სამარცხვინოდ და გასაკიცხად რად გაჰხადეს!.

ამას ჰფიქრობდა უიღბლო ქართველი საზოგადოება, რომელსაც, სხვა რომ აღარაფერი დარჩა-რა, უცხოელების წინაშე ეროვნულის მუსიკით უნდოდა თავი მოეწონებინა. „ჩვენისთანა ბედნიერი განა არის სადმე ერი“?

არჩილ ჯორჯაძე.

ახალი ამბავი

◆ 31 მარტს დანიშნული იყო საგანგებო **კრება ტფილისის მაზრის თავად-აზნაურთა** იმის გამოსაკვლევად, თუ როდისთვის დაინიშნოს ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა მორიგი კრება და როგორ მოიხმარონ უმაღლესად ნაბოძები 40,000 მანეთი. კრება არ შესდგა და გადაიდვა შემდეგ კვირისათვის.

◆ გუშინ ამიერ-კავკასიის **ფარმაცევტთა ამხანაგობის** კრება არ შესდგა, რადგან წევრთა კანონიერი რიცხვი არ გამოცხადდა.

◆ ტფილისის ხელოსანთა მოურავმა კარაპეტ სერობიანცმა მიიღო მოწერილობა ტფილისის გუბერნატორისაგან, რომ ახლო მომავალში დანიშნოს ტფილისის **ხელოსანთა დეპუტატების სხდომა** ხელოსანთა მოურავის ასარჩევად სერობიანცის ნაცვლად, რომელსაც სამსახურის ვადა უკვე გაუთავდა. როგორც გადმოგვცეს, ხელოსანთა მოურავის კანდიდატად დეპუტატები ასახელებენ ხელოსნებს: მხეიძესა, როლლოვს და სხვებს.

◆ ხვალ, 2 აპრილს, საღამოს 8 საათზე, სხდომა ექმნება კავკასიის **სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების** საბჭოს რამდენიმე მიმდინარე საქმეების განსახილველად.

◆ დღეს, 1 აპრილს საღამოთი, დანიშნულია საზოგადო კრება ტფილისის **მკურნალთა საზოგადოების** წევრთა, რომელზედაც განსახილველად დანიშნულია, მიმდინარე საქმეების გარდა, არჩევანი კავკასიის მკურნალთა მესამე საზოგადო კრებისათვის მასალის დამამზადებელ კომიტეტის წევრებისა.

◆ დღეს, 1 აპრილს, **ქალაქის საბჭოს** სხდომაზე განსახილველად დანიშნულია ისევ ძველი საქმეები, სულ 18-მდე.

◆ ოთხშაბათს, 3 აპრილს, ქალაქის გამგეობის დარბაზში მოხდება შეერთებული სხდომა ქალაქის გამგეობისა და **სასწავლებელთა გამგე კომისიისა**, რომელზედაც მოწვეულ იქნება აგრეთვე ტფილისის სახელოსნო სასწავლებლის დირექტორი. შეერთებულმა სხდომამ უნდა განიხილოს სახელოსნო სკოლისათვის ახლად შემუშავებული პროექტი წესდებისა.

◆ ამ დღეებში ტფილისის მაზრის უფროსმა თავ. ლ. ჯანდიერმა წარუდგინა ტფი-

ბიბლიოთეკა

ლისის გუბერნატორს მოხსენება **ტფილისის მაზრის** 1901 წლის განმავლობაში მდგომარეობის შესახებ.

◆ **ავლაბრის სკოლების სამღრთო სჯულის მასწავლებელმა** მამა დავიდოვმა, რომელიც გადაიყვანეს ბაქოს რკინის გზის ეკკლესიაში, ამ დღეებში ქალაქის გამგეობას განუცხადა, რომ სამღრთო რჯულის მასწავლებლის თანამდებობა, რომელიც იმას ეჭირა, განთავისუფლებულად ჩასთვალონ. ამავე დროს მამა მამამთავრიშვილმა, რომელიც მ. დავიდოვის მაგივრად მეტეხის ციხის ეკკლესიაში დანიშნეს, მიმართა თხოვნით ქალაქის გამგეობას, მიეცეს მას სამღრთო რჯულის მასწავლებლის თანამდებობა ქალაქის ავლაბრის პირველ დაწყებით სასწავლებლებში.

◆ დღეიდან ტფილისის ცხენის რკინის გზის ლიანდაგებზე იწყობა **საზაფხულო წესით მიმოსვლა ვაგონებისა**; დილით ვაგონები გამოვლენ ბინიდან სამუშაოდ ერთის საათით ადრე, ვიდრე აქამდის (ზამთარში) და იმუშავებენ ყველა ლიანდაგებზე შუაღამემდის.

◆ ტფილისის გუბერნიის ზოგიერთ მაზრების სოფლებში ამ თვის 15 რიცხვიდან გამხდარან ავადმყოფობით სოფ. სვიმონიანთ კარში და ცალუღელაანთ კარში, თიანეთის მაზრაში: წითელათი 4, მათ შორის 2 მორჩენილა და ორიც ავად არიან. სოფ. ველქცეულში, გორის მაზრა, წითელათი გამხდარა ავად 13, ხუთი მორჩენილა, 2 გარდაცვლილა, ექვსიც მორჩენაზე არიან; ყვავილით გამხდარა 8, მათ შორის 4 მორჩენილა, 3 გარდაცვლილა და ერთიც მორჩენაზეა. სოფ. ახალდაბაში: მუცლათი მომკვდარა ერთი. სოფ. ვარანცოვკაში და ანდარშეკში, ბორჩალოს მაზრაში, ხუნაგით: პირველში გამხდარან ავად 13, მათ შორის 5 მორჩენილა, 4 გარდაცვლილა და 4 ავად არიან; მეორეში გამხდარა 7, მათ შორის 2 გარდაცვლილა და ხუთიც ავად არიან; სოფ. ელისაბეტალში: წითელათი გამხდარან ავად 37, მათ შორის 25 მორჩენილა და 12 მორჩენაზე არიან.

ტფილისის მაზრის სოფელ საგარეჯოს სახელმწიფო ქსენონში გაამწესა მთავრობამ ბებიად სოფიო ლომიძისა.

წერილი კახეთიდან

(ვენახის ახალი მტერი)

კახეთის მევენახეთ ახალი უცნაური მტერი გამოუჩნდათ. წინად გაზაფხულზე, როცა კვირტი გაიშლებოდა, გაჩნდებოდა მფრინავი მწერი, რომელიც გრძელი ცხვირით გაშლილ კვირტს გამოსწუწნიდა და ამ ნაირად დაშავებული კვირტი ჭკნებოდა. ახლა ჯერ კვირტი არ არის გაშლილი; გამობერილია და მომზადებულია გასაშლელად და ამ დროს უჩნდება სხვა მტერი. ეს უცნაური მტერი უცნაურადაც იქცევა: დღისით ვაზის ახლო მიწაში იმალება, ღამე ადის ვაზზე, ეხვევა რქასა და გამობერილ კვირტს სჭამს. ეს ახალი ვაზის მტერი წააგავს აბრეშუმის ჭიას; როცა გაზრდილია, იმოდენაა, რამოდენაც პირველად ტყავ გახდილი აბრეშუმის ჭია; ფერით ჯერ ნაცრის ფერიისაა, მერე თან-და-თან მუქდება და მიხაკის-ფერი ხდება.

რასაკვირელია, რაკი ეს ჭია ღამით მოქმედობს და დღისით დამალულია, რაკი ჯერ გაუშლელ კვირტს სჭამს და ნაჭამ კვირტს კარგი დაკვირვება უნდა, რომ შეატყოს ნაჭამობა, მომატებული რიცხვი მევენახეთა ჯერ ვერ ამჩნევს ამ მავნებლობას. მხოლოდ დაკვირვებული მევენახე შეატყობს ამ ჭიის მოქმედებას; სამწუხარო ის არის, რომ დაკვირვებული მევენახენი ცოტანი არიან.

მე ამ ჭიის ამბავი შევიტყე ს. კურდღელაურის გლეხისაგან, რომელმაც თვით ჭიებიც მომიტანა. ეს ჭიები ვაჩვენე ბ.ბ. ლანდუროვს და სადათელოვს, მაგრამ ვერცარა მათ სთქვეს რამე მათ შესახებ. კახეთში გამოჩენილი მევენახე და მებაღე არის თავ. მიხეილ ანდრიას ძე ლეონიძე. იმას შევეკითხე ამ ჭიებზე. თავ. ლეონიძეს არამც თუ შეუმჩნევია მტრის შემოსევა, წინააღმდეგი ღონისძიება უხმარნია კიდეც; სახელდობრ: უყიდნია რამდენიმე ფარანი, ღამით თვით დაუძღვის მეზვრეებს, ჭიებს ვაზის რქიდან აგროვებინებს და შემდეგ აწვევინებს. თავ. ლეონიძე მხოლოდ იმასა სწუხს, რომ მისი ღონისძიება საკმარისი არ არის, რადგანაც ვერას გახდება ერთი კაცი, საჭიროა, რომ ყველანი ისე იქცეოდნენ, არ დააცალონ დაპეპლება და კვერცხის დადება, თორემ სამერმისოდ უფრო ძნელი საბრძოლველი იქნებაო.

ჩვენის აზრით, ეგ ჭია იგივე ბოგანოა, რომელიც თვისი გძელი ცხვირით გაშლილ კვირტს ემტერება. რადგანაც უთოვლო და თბილი ზამთარი იყო, რადგანაც გაზაფხულიც მშრალია და თბილი, ამ ბოგანო ჭიამ ადრე გაიღვიძა, შიმშილმა აღარ დააცალა დაპეპლება და ინსტიქტიურად იმ საჭმელს დაუწყო ძებნა, რომელსაც დაპეპლებული ეტანება. იქნება ვსცდებოდე, მაგრამ საჭირო კია მცოდნე პირთ გვამცნონ ამ ჭიის ვინაობა და თუ რამ ღონისძიება ცნობილია მის წინააღმდეგ. ამისათვის თვით ჭიას ვგზავნი სამეურნეო საზოგადოებაში და თან რქასაც. სრული იმედი გვაქვს, ჩვენი აგრონომები ყურადღებას მიაქცევენ და საჭირო ცნობებს მოგვაწვდიან ქართულ გაზეთის საშუალებით.

მართალია, ვიდრე ეს წერილი დაისტამბება და გაგზავნილ ჭიებს გაშინჯავენ, იქნება კვირტიც გაიშალოს, მაგრამ თვით აგრონომებიც ყველა ამას მიიღებენ მხედველობაში. თუ რაიმე ცნობილი ღონისძიება არის, საჭიროა კახელ მევენახეთ გაზეთის გარდა ცალკე ფურცლებითაც დაურიგდეთ საჭირო ცნობები.

ვგონებ, შარშან გაზაფხულზე ყოფილა ამისთანავე ჭია საუფლისწულო მამულებში, რა ღონისძიება იხმარეს, ან მართლა ამისთანა იყო ის ჭია, თუ სულ სხვა, ეს არ ვიცით.

ვსთხოვთ ადგილობრივ გამოცემათა რედაქციებს, ეს წერილი თავის გაზეთში გადაბეჭდონ.

ნადიკვრელი

დეპეშა

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

30 მარტი.

სარატოვი. იწყება საზოგადო მუშაობა სარწყავ არხების გასაყვანად, რისთვისაც მთავრობამ 85.000 მანათი მისცა სესხად სასოფლო საზოგადოებათ.

კამიშლოვი. ბოგოსლოვსკის სამთო ქარხანამ გაჰყიდა 70,000 ფუთი შვრია, 70 კაპ. ფუთი.

ცარიცინი. ხვალ სარატოვისაკენ წავლენ პირველი გემები.

ვლადიმირი. შუიაში არსდება საპედაგოგო საზოგადოება; წევრად ჩაეწერა 74 კაცი,

ვარშავა. გუშინ გაიარა ვარშავაზე იუსტიციის მინისტრმა მურავიოვმა, რომელიც საზღვარ-გარედ მიემგზავრება.

სოფია. გუშინ გაიმართა დოლინის, აუერისა და მიკლაშევსკის კონცერტი. აქედან არტისტები წავლენ ბელგრადში და შემდეგ ბუქარესტში.

ლონდონი. სამხედრო სამინისტრო აცხადებს, რომ პირველ რაზმს შეადგენს ათასი კაცი—გვარდიელი, რომლებიც იგზავნებიან სამხრეთ-აფრიკაში სალაშქროდ ზამთარში. შემდეგნი იქნებიან შვიდი ათასი ქვეითა ჯარი, ათასი—არტილერია, შვიდი ათასი იომანრი და ხუთი ათასი მეომარი ახალშენებიდან.

შანჰაი. გერმანელთა სამხედრო გემები „ჰეიერ“ და „ლუქს“ წავიდნენ ნინპოსკენ, რადგან ჩინეთში უცხოელთათვის საშიშარი მოძრაობა დაიწყო.

ლონდონი. დეპუტატთა პალატის სხდომის დასრულების შემდეგ ბალფურმა განაცხადა, რომ სამშვიდობო მოლაპარაკებაზე გავრცელებული ხმები საფუძველს მოკლებულნი არიან. აფრიკიდან ამბავი არ მოსულა მოლაპარაკებაზე; საქმის ვითარების გამო ამისთანა ამბავს ვერც მივიღებდით.

კლერკსდორპი. ბურების ორივე მთავრობის წევრებს თათბირი ჰქონდათ ოთხშაბათს და დღეს. თათბირს მარტო ისინი დაესწრნენ. ვინმე უცხოსთან გამოლაპარაკება აღკრძალულია.

ირკუტსკი. 30 მარტს, დილით, მიწა იძრა. საგრძნობელი მიწის-ძრა იყო სოფელ სნეჟნაიაში, ბაიკალის აღმოსავლეთ ნაპირზე; იქ ბუხრები დაანგრია. ვერხნეუდინსკში და ბაიკალის დასავლეთ ნაპირზე სუსტი მიწისძვრა იყო. უბედურება ადამიანთ არა შემთხვევიათ-რა.

ლონდონი. სტატს-სეკრეტრის ამხანაგმა კრენბორმა აუწყა პალატას, რომ შეთანხმება მანჯურიის შესახებ ხელ-მოწერილია უკვე პეკინში. შეთანხმების შინაარსი ჯერ არ იცის ინგლისის მთავრობამ, მაგრამ, როგორც იმისი, სთქვა კრენბორმა, რუსეთის ჯარების ნაწილი გაყვანილ იქნება მანჯურიიდან ექვს თვეში, დანარჩენი-კი—18 თვის შემდეგ.

რიგა. 1 აპრილს ვინდავაში იხსნება ახალი საბირჟო კომიტეტი.

პეტერბურგი. 29 მარტს მარიინსკის თეატრში კონცერტი გაიმართა ინვალიდების სასარგებლოდ. დაესწრნენ კონცერტს მათი უდიდებულესობანი.

დღეს შესდგა პირველი კრება ჩრდილოეთის და პრიბალტიისკის ადგილების მემადნე-მექარხნეთა. ამოირჩიეს კრების საბჭო. ქალაქის საბჭომ დაადგინა შეშის სყიდვა მოსპოს, რადგანაც საზარალო აღმოჩნდა.— განმარტებულია, რომ რკინის გზების მოსამსახურეებს საავადმყოფოს გარდასახადი არ გადახდებათ.—დმეცოვის საქმეში ყველა გაამართლეს.

31 მარტი

პეტერბურგი. „პრავიტ. ვესტნიკ“-ში დაბეჭდილია ფინანსთა მინისტრის ცირკულიარი, რომლით ნება დართულია დამატებითი ბაჟის გადაუხდელად გაჰყიდონ რუსეთში 2 მილიონი ფუთი შაქარი სათადარიგოდ შენახულიდან.

საექიმო დეპარტამენტი აცხადებს, რომ გლაზგოში 8 მარტიდან 14-მდე ავად გამხდარა ყვავილით 181 კაცი; გასულ თებერვლის 8 რიცხვიდან სულ გამხდარა ავად ყვავილით 1137 კაცი.

ნოვოჩერკასკი. დამშეულთა გამოსაკვებად და ყანების დასათესად დაიხარჯა 100-ათასი მანეთი სოლქო თანხიდან და 180-ათასი მან. ხალხის გამოსაკვებ თანხიდან.

რადომი. კათოლიკეთა სასულიერო სემინარიის გასადიდებლად მთავრობამ 35-ათასი მან. გადასდო.

ლონდონი. მინისტრთა საბჭოს დღევანდელი სხდომა, რომელსაც დაესწრნენ ჩემბერლენი და ჰიკს-ბიჩი, მალე გათავდა. რაზედ ჰქონდათ სჯა და ბაასი ან რა გადასწყვიტეს, არავინ იცის.

ბრიუსელი. ოფიციალურად გამოცხადებულია, რომ მთავრობამ გარდასწყვიტა რევოლიუციონერთა მოძრაობას არ დაუთმოს. პარლამენტმა თავისუფლად უნდა გარდასწყვიტოს—შესაძლებელია თუ არა კონსტიტუციის გადასინჯვა და საყოველთაო არჩევნების უფლების მინიჭება.

შანჰაი. ნინპოში შიშიანობ აღარ არის; ადგილობრივ მკვიდრთა მოძრაობა უცხოელთა წინააღმდეგ თან-და-თან კლებულობს. ამიტომ გერმანიის სამხედრო გემები უკანვე დაიბარეს.

ედინბურგი. გაზ. „ევენინგ ნიუს“-ი ამბობს, რომ ჰოლანდიაში მყოფ ბურთა წარმომადგენლებმა მშვიდობიანობის პირობები განაცხადეს; ალბად, ეს პირობები საფუძვლად დაედება მომავალს მოლაპარაკებას. ამბობენ, ბურების წარმომადგენელნი უეჭველად არ მოითხოვენ სრულს დამოუკიდებლობას, თუ ისე მოახერხეს საქმე რომ ბურების ორსავე რესპუბლიკის შინაური მართვა გამგეობა მომავალში სასურველად მოაწყვეს. დანარჩენ პირობათა შორის საყურადღებოა კიტჩენერის პროკლამაციის გაუქმების მოთხოვნა; ამ პროკლამაციით ბურებს ადგილ მამული ერთმეოდათ; აგრეთვე თხოულობენ კაპის აჯანყებულთა პატიებას.

პრეტორია. საგანგებო მატარებლით კლერკსდორპიდან აქ მოვიდნენ შალკ ბურგერი, ლუკა მეიერი, დელარეი, შტეინი და დევეტი.

ლონდონი. „რეიტერის სააგენტოს“ შეუტყვია, რომ ყოველივე ლაპარაკი მშვიდობიანობის ჩამოგდების შესახებ ადრეულია. დაუჯერებელია, რომ კლერკსდორპში ბურთა მოთათბირე წარმომადგენლებმა ისეთი პირობები წარმოადგინონ, რომ ბრიტანიის მთავარ სარდალმა ისინი მიიღოს.

ჰონკონგი. კუანგსის პროვინციის ქალაქები—პინჩაუ, ხენგაუ, კინიენ-ფუ და კვიჩაუს პროვინციის ქალაქი პინიენი შეამბოხეთ ჩავარდნიათ ხელში. ამ ქალაქების მანდარინები დაატყვევეს.

ოდესა. აქაურ სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებათა მოანგარიშენი და მოხელენი აარსებენ საეკონომიო საზოგადოებას სწორედ იმგვარად, როგორც ინგლისსა და გერმანიაში არის; სხვათა შორის, საზოგადოებას საგნად აქვს წევრთა ბავშვების აღზრდა-განათლება.

უტრეხტი. „რეიტერის სააგენტოს“ კორესპონდენტს ლეიდსმა უთხრა, რომ ლონდონში ტყუილად გაუვრცელებიათ ხმა, ვითომც მშვიდობიანობის პირობები უკვე შემუშავებული იყოს. არ შეიძლება მორიგება ისე გათავდეს, რომ ევროპაში მყოფ ბურებს არ დაეკითხონ.

პეტერბურგი. გაზეთი „პრიდნეპროვსკი კრაი“ მთავრობის ბრძანებით 8 თვით შეაჩერეს.

პარიზი. მთავრობასთან დაახლოვებული ზოგიერთი გაზეთი რამდენადმე პოლიტიკურ მნიშვნელობას აძლევს იმ გარემოებას, რომ საფრანგეთისა დ რუსეთის გემებმა მაროკოს ნაპირები ერთად გაიარეს და ერთად ტანჟერს მივიდნენ.

პეტერბურგის ბირჟა 30 მარტს

ვექსილის კურსი 6 თვით:

ლონდონზე 10 გირვ. სტ.—ში	94,15
ბერლინზე 100 მარკაში	—
პარიზზე 100 ფრანკში	—
ლონდონზე ჩეკები	94,85
ბერლინზე „	46,30
პარიზზე „	—
ბირჟის დისკონტი	$4\frac{1}{2}$—$6\frac{1}{2}$%
4% სახელმწიფო რენტა	$96\frac{5}{8}$ გაყიდ.
4%-ანი სახელმწ. სესხი 1902 წ.	$98\frac{1}{2}$ მყიდვ.
$4\frac{1}{2}$% შინაგანი სესხი 1893 წ.	—
4% გირავნ. ფურც. სახელ. სადგ.-მამ. ბანკისა.	—
5% 1-ლ შინაგან სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	468 გაყიდ.
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	$358\frac{1}{2}$ „
5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. სადგ.-მამ. ბანკისა	$304\frac{3}{4}$ „
5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ.	$88\frac{1}{2}$ „
$4\frac{1}{2}$% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა	$83\frac{1}{8}$ „
ტფილ. სადგილ-მამ. ბანკის 5% გირავნ. ფურც.	89 „
$4\frac{1}{2}$% გირავნობის ფურც. ამავე ბანკისა	—
ქუთაისის სადგილ-მამ. ბანკის 6% გირ. ფურც.	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა.	—
ა. ი. მანთაშევისა და ამხ. აქცია.	203 „

გამომც. და დრ. რედაქტორი ალ. ჯაბადარი.

განცხადებანი

ტფილისის ქალაქის

გამგეობა

აუწყებს ყველას, რომ **ექვსს აპრილს** ამა წლისა, შუადღის 12 საათზე დანიშნულია ვაჭრობა აფიშის გასაკრავ ოთხის ბოძის იჯარით გაცემაზე; ბოძები მოწყობილია სავაჭროდ.

მსურველთ შეუძლიანთ გაშინჯონ კონდიციები ყოველ საქმის დღეს, დილის ცხრა საათიდან ნაშუადღევის სამ საათამდე, გამგეობის მეოთხე განყოფილებაში. (ნ. 3—1)

ცინკოგრაფია

წიგნებ. გამომც. ქართველთა ამხანაგობისა

ვანქის დიდი ქუჩა, № 27, ტელეფონი № 372.

კლიშეების გაკეთება შეიძლება ფოტოგრაფიული სურათებიდან და ხელით ნახატებიდან.

ქუთაისში, ვ. ბეჟანეიშვილის მაღაზიაში,
იყიდება „ცნობის ფურცლი“-ს №№-ბი,
თითო №-რი 3 კ. დამატებით—5 კაპეიკ

ორშაბათს, 25 მარტს, გაიხსნა ტფილისში, მადათოვის კუნძულზე,

ფ. ი. ფეცის დიდი მუზეუმი.

მუზეუმში 100-მდე სხვა-და-სხვა საგანია. მრავალი ახალი სანახავი! სცენაზე ბევრი ახალი სანახავია პარიზიდან: 1) დაფნა, დევნილი აპოლონისაგან; 2) გალატეა, მარმალილოს პატარძალი და სხვა. მუზეუმი გახსნილია **ყოველდღე** დილის 10 საათიდან საღამოს 11-მდე; წარმოდგენების დასაწყისი ნაშუადღევის 2-დან. დაწვრილებით იხ. აფიშებში. (20—10)

Дозволено цензурою Тифлисъ, 31 Марта 1902 года.

ელექტრონით მბეჭდავი ს.-მ. წიგნების გამომც. ქართვ. ამხანაგობისა.